საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N44

15 ნოემბერი 2021 წ.

ბათუმი

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს წევრთა რაოდენობისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 12 თებერვლის N4 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის, 67[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს წევრთა რაოდენობისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 12 თებერვლის N4 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს ,,ზ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ზ) გიორგი კირთაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი.

2. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს წევრებს, უმაღლესი საბჭოს წევრს გიორგი კირთაძეს. ბრძანების გაცნობა უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ კანონით დადგენილი წესით.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე